# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 29 სექტემბერი 1997 №118 (483) ფასი 30 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## 7 ტური

თსუ 0:0 მორკინალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 7 | 5 | 2 | 0 | 13:6 | 17 |
| დინამო | 5 | 5 | 0 | 0 | 19:3 | 15 |
| ოდიში | 5 | 4 | 1 | 0 | 10:1 | 13 |
| კოლხეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 14:7 | 10 |
| მერანი | 6 | 3 | 1 | 2 | 12:7 | 10 |
| მორკინალი | 7 | 2 | 4 | 1 | 8:6 | 10 |
| დილა | 6 | 3 | 1 | 2 | 6:7 | 10 |
| ბათუმი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:5 | 9 |
| ტორპედო | 6 | 2 | 3 | 1 | 11:10 | 9 |
| მეტალურგი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:8 | 6 |
| სამგურალი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:14 | 5 |
| მარგვეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:16 | 4 |
| გურია | 6 | 0 | 3 | 3 | 3:11 | 3 |
| მაღაროელი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:19 | 3 |
| ლოკომოტივი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:13 | 2 |
| სიონი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:9 | 0 |



გუშინ მცხეთაში: თსუ — „მორკინალი". დიდი ბრძოლა ქულისთვის

ბადრი ძაძამიძის ფოტო

მცხეთა
„არმაზი"
28 სექტემბერი

**თსუ 0:0 მორკინალი**

**თსუ:** დოლიძე, ყოლბაია (ქორიძე 46), ვერემჩუკი, კობიაშვილი, კანკავა, შალამბერიძე, ჩომახიძე, ზამთარაძე, რუსია, მელქაძე, როსტიაშვილი (დ. ჩიგოშვილი 85)

**მორკინალი:** გვარამაძე, ამბიძე, კაპანაძე, ი. ვაშაკიძე, ასპინძელაშვილი, აბაზაძე, პეტრიაშვილი, ცომაია, კ. გოგოლაძე, ქუმბურიძე (ლაპიაშვილი 81), ვ. გოჩაშვილი (დვალიშვილი 78)

**გაფრთხილება:** ჩომახიძე, აბაზაძე

**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

# სტუდენტებს ჩაეთვალათ

**ვახტანგ ბზიკაძე მცხეთიდან**

ინტერტოტოს თასის ჯგუფური ეტაპი, უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალი, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდი. ევროთასების ამ გათამაშებათა თითო უცხოურ მატჩს დავსწრებივარ და ვერ ვიტყვი, რომ იქ რამემ გამაკვირვა, მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატში, 7 წელია, ერთხელაც არ მინახავს ის, რისი მოწმეც გუშინ მცხეთაში გავხდი. ის, რასაც ხშირად ფედერაციას ვუკიჟინებთ, თურმე გუნდების საკეთებელი ყოფილა და როგორც იქნა, გზის გამკვალავიც გამოჩნდა. ხშირად გვინახავს, შინაური მატჩის ორგანიზაციაზე გუნდებს თავი რომ გამოუდიათ, მაგრამ შემორაგაულში ფოტორეპორტიორის არშეშვება და მისთანანი უფრო კონკრეტულ პიროვნებათა ახირებას ჰგავდა.

გუშინ მცხეთაში მეშვიდე ტურის მატჩი იყო. მართალია, ტურის ცენტრალური შეხვედრა, მაგრამ მაინც ერთი რიგითი მატჩი. და ამ დროს, იცით, რა ხდებოდა ოდინდელ დედაქალაქში? ქუჩებში კლუბების ემბლემებით დამშვენებული აფიშები, ტრიბუნაზე გადახურული, მაგიდიანი პრეს-რიგი, პრეს-ცენტრში კი ნაბეჭდი შემადგენლობები და აკრედიტაციები. ეს პრესის მიმართ გამოჩენილი ყურადღების სამადლობლად. ისე კი, სხვაც ბევრი რამ თვალსასეირო და გულგასახარი იყო. განახლებული და გაკოხტავებული სტადიონი, დახურული VIP-თა ლოჟით, ასეთივე სათადარიგოთა სკამებით, ახალი ბადეებით და შელამაზებული მექანიკური ტაბლოთი. და თავად თსუ? გუნდი საკუთარემბლემიანი საშინაო-საგარეო ფორმით და მუდმივი სათამაშო ნომრებით. გინახავთ სხვაგან ასეთი? თუ ნახეთ, აგვწყობია საქმე და ეგ არის.

სხვა საქმეა თავად თამაში. ცალკე თემაა ქომაგებიც. აქვე ამათზე ვთქვათ და მერე თამაშზეც გადავიდეთ. ჩვენში ფანები ცოტანი არიან. ყველაზე ხმაშეწყობილი და გამძლე გულშემატკივრები ნამდვილად „სიონსა" ჰყავს, მაგრამ მათი რეპლიკების არსენალი სტუდენტებთან შედარებით აშკარად ღარიბულია. ერთი, რაც ამათ ჯერ არ უსწავლიათ, გვარების გერმანული წესით გამოცხადებაა, მაგრამ თსუ-ს ჯერზე „უუუ!!!"-ს და მსაჯებზე „ოოო!!!"-ს დაგუგუნება კი არ დავიწყნიათ. მეტიც, ფანებმა სტადიონზე მოსულთ სტუდენტთა წლევანდელი მონაგარი შეახსენეს. როგორ? ასე: „თსუ-მ მოუგო „კოლხეთს"! — დასცეს ყიჟინა, „თსუ-მ მოუგო „მეტალურგს" — ისევ ჟრიამული და ასე, „სიონის", „მაღაროელის", „ლოკომოტივის" ჩათვლით. მერე კი „თსუ-მ ნიჩია ეთამაშა „გურიას"! და მთავარი: „თსუ მოუგებს „მორკინალს"! აქ კი პესიმისტიც (თუ რეალისტი?) გამოერია — ფრეს მაინც დააძვრენსო, მაგრამ ამას მხარი აღარ აუბეს. არადა, მართლა ასე კი მოხდა. ამათ გარდა, არც „ვი ველ რაქოუ" და „აბაულა" დავიწყებიათ, მატჩისწინა მარშიც „პირველი მერცხლიდან" ამათ სტილში ჩაჯდა.

მოკლედ, მცხეთა. ჯვრის მონასტერი, ზედაზენი და სვეტიცხოველი. გაცრილი წვიმა და უფრო კი ლეშხი. ამის პირობაზე ბლომად მაყურებელი და „წარმოშობით" თბილისური გუნდების თამაში, რომელსაც დერბი პირობითად თუ ჰქვია.

პრინციპული, ჟინიანი თამაში. ბრძოლა ყოველი გოჯისთვის და ერთი ბურთისთვის. სიხისტე, ალაგ-ალაგ უხეშობაც, ზოგი დროულად ალაგმული, ზოგიც ნაგვიანევად. პირველ 25 წუთში ორი შეტაკება — ორი მიკროტრავმა, დროული ყვითელი. თუმცა, არ ჩანდა მთავარი — კარგი თამაში და საბოლოოდაც არ გამოვიდა ეს მატჩი ისეთი, თუნდაც ფრაგმენტი დიდხანს რომ დაგამახსოვრდეს. აღსანიშნავი უფრო მეკარის (გვარამაძის) კარგი თამაში და ნერვიული დაძაბულობის სიმძაფრე იყო. და კიდევ რამდენიმე მომენტი, ორივე მხარემ რომ შექმნა. პირველი ტაიმი შუაწელს გადასცილებოდა, სტუდენტებმა მარცხნიდან შეტევა რომ წამოიწყეს: ჩომახიძე — შალამბერიძე — რუსია და მის დარტყმას კოშკა იგერიებს. ცოტა ხანში გვარამაძე ყოლბაიას პასზე ასპინძელაშვილის მჩაგვრელ როსტიაშვილს აულებს, ორ წუთში ვაშაკიძის აჭრილზე როსტიაშვილს ისევ მეკარე სჯობნის. ტაიმის ბოლოს კაპანაძის სუსტი ჩაწოდება მშვენიერი საგოლო გამოდგება, ბურთი ჰაერში ამხტარ გოგოლაძეს და ვერემჩუკს გადასცდება და გოჩაშვილს მიუვა, მაგრამ ის იბნევა და ხეირიან დარტყმასაც ვერ ახერხებს.

მეორე ტაიმში „მორკინალის" გააზრებული თამაში და უფრო თსუ-ს იერიშები. კანკავას თაურზე კვლავ გვარამაძის მხსნელი ნახტომი და ბოლოს მელქაძის მოგერიებული საჯარიმო. მანამდე გოჩაშვილის პასზე გოგოლაძის დაყოვნება და მოჭრილი აბრაგანი, რომელიც გვარიანად ასცდა დოლიძის კარს. გამუდმებით ბრძოლა, შორი დარტყმები და სწრაფი, მაგრამ უშედეგო ტემპი. მოკლედ, ჯიგრიანი, მაგრამ არცთუ ამოდ საცქერი მატჩი.

შეხვედრას სტუმრები არ ჰკლებია, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და გენერალური მდივანი, ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი, „დინამო" — მპკც-ს კომისარი და უნივერსიტეტის რექტორი. მოკლედ, ყველაფერი ის, რაც კარგ გარემოს ქმნის. გული მხოლოდ თამაშმა დაგვწყვიტა. იქნებ იმიტომაც, ერთობ ქულისთვის რომ თამაშობდნენ...

# ბელარუსის ფრონტი თბილისში

ხვალ „დინამო" მპკც-ს მასპინძლობს, დღეს კი მოზირელები თბილისს ეწვევიან — ბელარუსის ჩემპიონი ჩარტერული რეისით ჩვენი დროით 12 საათზე მოფრინავს და შუადღისთვის აქვე იქნება. მოფრინავს ყველა, ვინც კი ამ გუნდში ფეხზე დგას: ჩვენს ჩემპიონთან ბრძოლისას დაშავებული მალეევიც და ჩვენებთანვე გოლის გამტანი და ბოლო საშინაო მატჩში ტრავმირებული კუშნირიც. ამათი თამაში ჯერ კი სათუოა, მაგრამ მაინც მოფრინავენ. არადა, ჩვენი „დინამო" მოზირელებს დანაკლისით ხვდება. გუნდის ექიმ ზაქრო თელიას თქმით, ვერ ითამაშებს ხუთშაბათის ვარჯიშზე კუნთნატკენი ირაკლი ზოიძე. ორი გაფრთხილების გამო ტრიბუნაზე გადაინაცვლებს ვალტერ გუჩუაც. სამაგიეროდ მომჯობინდა ალექსანდრე იაშვილი, რომელიც გერმანულ „ფრაიბურგში" გადასვლამდე თანაგუნდელებს ბოლოჯერ დაეხმარება. სამომავლოდ კი „დინამოს" ალბათ სულზე მიუსწრებს გიორგი დემეტრაძე, რომელიც 30-ში საბოლოო ანალიზს აილებს და იმედია, ვარჯიშსაც შეუდგება. დღესვე, წესით, „დინამოს" ბათუმში უნდა ეთამაშა, მაგრამ ძნელი მისახვედრი არაა, რომ ეს შეხვედრა გადაიდო, ისევე როგორც „მაღაროელ" — „ლოკომოტივის" მატჩი, სტუმართაგან უწლოვანთა ნაკრებებში მივლინებული ფეხბურთელების სიჭარბის გამო.

## მაკედონია — საქართველო 1:2

საქართველოს თვრამეტ წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა გუშინ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სტუმრად დაამარცხა მაკედონიის გუნდი. მომდევნო შეხვედრას 2 ოქტომბერს კოპალეიშვილის ბიჭები რუმინეთში ჩაატარებენ.

# თქვენს ტურნირს დიდი პერსპექტივა აქვსო

**„ქართუ" თბილისის ღია პირველობა ქალთა შორის**

**საკვალიფიკაციო შეხვედრები: 27 სექტემბერი — სონია სარანგულიანი (სომხეთი) — თინათინ თურმანიძე 6:2, 6:4, თამარ ზედგენიძე — მანანა დუელი 6:0, 6:0. ვერა თუხარელი — ეკა ვეფხვაძე 6:0, 6:0, ელენა პეტრენკო (მოლდოვა) — ნატო დოლიძე 4:6, 6:3, 6:2, ნინო ჭიჭინაძე — ანა ჩაჩუა 6:2, 6:1.**

**28 სექტემბერი. ზედგენიძე — ნატო კაჭკაჭიშვილი 6:3, 7:6, ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) — სარანგულიანი 6:3, 6:1, ჭიჭინაძე — ქსენია ორეხოვა (უკრაინა) 1:6, 6:3, 6:3, თუხარელი — პეტრენკო 6:3, 7:6.**

თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირის ძირითად შეჯიბრს საკვალიფიკაციო შეხვედრები უძღვოდა. უნდა გამოვლენილიყო ის ოთხი ჩოგბურთელი, რომლებიც ძირითადი ტურნირის შემადგენლობას შეავსებდნენ, საკვალიფიკაციო ტურნირში პირველ დღეს 10 მონაწილე ჩაება, სამი კი უბრძოლველად გავიდა მომდევნო ეტაპზე. ამ დღეს მხოლოდ მოლდოველ პეტრენკოს გაუჭირდა ნატო დოლიძესთან გამარჯვება, დანარჩენებმა კი იოლად ჩამოიშორეს მეტოქეები.

გუშინდელი შეხვედრები კი, რომელთაც საბოლოოდ უნდა გამოევლინათ საკვალიფიკაციო ტურნირის ოთხი საუკეთესო, ძალზე დაძაბულად წარიმართა.

მოულოდნელი იყო თამარ ზედგენიძისა და ნატო კაჭკაჭიშვილის შეხვედრის შედეგი. ნატო ბოლო ხანს მუდამ უძლიერეს ქართველ ჩოგბურთელთა რიგებშია, ამიტომაც ამ მატჩის წინ ფავორიტად ის ითვლებოდა, მაგრამ ზედგენიძემ მშვენივრად ჩაატარა პირველი ხელი, თავისი მოწოდებები არ დათმო, 4:3-ზე კი ნატოს მოწოდება მოიგო და პირველი სეტი თავის სასარგებლოდ დაამთავრა 6:3.

კაჭკაჭიშვილის შეუპოვარი ხასიათი ყველამ კარგად იცის. ამიტომ, როცა ის მეორე ხელში თავიდანვე დაწინაურდა, ჯერ 4:1, შემდეგ 5:2, მატჩის ბედი შემობრუნებული ჩანდა, მაგრამ ზედგენიძე კვლავ ჩინებულად ათამაშდა და უფრო გამოცდილ მეტოქეს დაეწია. აქ წვიმამ მცირე ხნით დაასვენა მეტოქენი, განახლებისას კი კაჭკაჭიშვილი უფრო ნერვიულობდა და საბოლოოდ თითქმის მოგებული მეორე სეტი წააგო და მთლიანად მატჩიც 3:6, 6:7.

სომეხმა სარანგულიანმა თავიდანვე მოიგო რუსი პეტროვას მოწოდება და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ უპირატესობა მის მხარეს იქნებოდა, მაგრამ გრძელფეხება რუსი მოედნის ყველა მონაკვეთზე ასწრებდა სარანგულიანს და უმალ 5:1 გახადა ანგარიში. სომეხმა ცოტა კი გაიბრძოლა, მაგრამ მეტი ვერაფერი.

ნინო ჭიჭინაძემ პირწმინდად წააგო პირველი ხელი უკრაინელ ორეხოვასთან, მაგრამ ნინოს მებრძოლი ხასიათი აღმოაჩნდა. მეორე სეტიდან, 2:2-ის შემდეგ ხელთ იგდო ინიციატივა, საბოლოოდ 1:6, 6:3, 6:3 მოიგო და ისიც ძირითად ტურნირში მოხვდა.

განსაკუთრებულად დაძაბული კი ამ დღის ბოლო მატჩი გამოდგა. ვერიკო თუხარელმა საკმაო ხანია, ჩოგბურთს თავი დაანება, შეილიც შეეძინა და ამ ტურნირამდე ორი თვით ადრეღა განაახლა ვარჯიში. პირველი ხელი ვერიკომ მშვენივრად დაიწყო და მალეც დაწინაურდა 5:0, მაგრამ იმის წადილმა, რაც შეიძლება მალე მოეგო სეტი, უკუშედეგი გამოიღო: ფიზიკურად კარგად მომზადებულმა პეტრენკომ ზედიზედ სამი გეიმი მოიგო და რადგან ამ დროს მოლდოველის მოწოდებაც იყო, თუხარელის უპირატესობა ძალზე სათუო ჩანდა. მაგრამ მან ძალები მოიკრიბა, პეტრენკოს სამჯერ დაუძვრა იმგვარ სიტუაციაში, როცა მას ერთი დარტყმა ჰყოფნიდა გეიმის მოსაგებად და გამარჯვებით დაასრულა ხელი. მეორე, კიდევ უფრო დაძაბული სეტის დასაწყისში მეტოქეებმა ერთმანეთის მოწოდებები მოიგეს. შემდეგ, 4:3-ზე თუხარელმა ზედიზედ ორი გეიმი წააგო. მატჩს ისეთი პირი უჩანდა, რომ თუხარელი ვერ გაუძლებდა დაძაბულობას, მაგრამ კრიტიკულ ვითარებაში ვერიკომ კვლავ მშვენივრად ითამაშა. რამდენიმე აუღებელი ბურთი აიღო, პეტრენკოც ანერვიულა და სეტი ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა. აქ კი თუხარელმა იმარჯვა და მატჩიც მოიგო.

ორი დღის შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვეთ ტურნირის მთავარ მსაჯს, ბულგარელ ლუბომირ ბრატოვს.

„პირუთვნელად უნდა გითხრათ, აღფრთოვანებული ვარ ტურნირის ორგანიზაციით. აქ ისეთი პირობებია შექმნილი, 50 000-იან და 70 000-იან ტურნირებსაც შეშურდებათ. ეს მისი ორგანიზატორის ლეილა მესხის დამსახურებაა. ლეილა დიდი ხანი ასპარეზობდა მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირებზე. ჩვეულებრივ, დიდი მოთამაშეებიც კი ვერ არიან ხოლმე გარკვეული იმაში, როგორ უნდა დიდი შეჯიბრის ორგანიზება. ლეილა კი სხვანაირი აღმოჩნდა, მან ბევრი რამ ისწავლა და მშვენივრადაც მოამზადა ეს პირველობა. ეჭვი არ არის, ამ ტურნირს დიდი პერსპექტივა აქვს. მთავარი, ალბათ, ისაა, რომ ტურნირის სპონსორები მიხვდებიან, რა მომგებიან სფეროსთან აქვთ საქმე. ამაზე კარგი არაფერია, როცა მშვენიერ საჩოგბურთო დღესასწაულს მართავ და თან შენი ბიზნესიც იგებს. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ჩემი მცირე ხნით ყოფნის მანძილზე ბევრ ისეთ ადამიანს შევხვდი, რომელიც სისხლხორცეულადაა დაინტერესებული საქართველოში ჩოგბურთის აყვავებით. ამიტომაც მჯერა, რომ ეს ტურნირი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიოს საჩოგბურთო კალენდარში".

დღეს ტურნირზე „უქმეა": გაიმართება ძირითადი ტურნირის კენჭისყრა და საზეიმო გახსნა, რომელიც 18 საათისთვისაა დაგეგმილი.

**კოტე მგალობლიშვილი**



# ცულეტა ისევ ალექს ცულესია

გუშინ დამთავრდა ესპანეთის ტური „ვუელტა", რომელშიც ზედიზედ მეორედ შვეიცარიელმა ცულემ გაიმარჯვა. მან საერთო ჩათვლაში ხუთ წუთზე მეტით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ესპანელ ფერნანდო ესკარტინს. მესამე ადგილი კიდევ ერთმა შვეიცარიელმა ლორან დიუფომ დაიკავა. ბოლო, 22-ე ეტაპი კი, რომელიც მთლიანად მადრიდის მიდამოებში მოეწყო, მოიგო ჰოლანდიელმა მაქს ვან ჰესვიკმა.

# კაიზერი ლიდერად დარჩა, კაიზერი — პრეზიდენტად

## გერმანია

VIII ტური

**ვოლფსბურგი 1:0 შტუტგარტი**
1:0 ტიშკევიჩი (77)

**კაიზერსლაუტერნი 1:3 ვერდერი**
1:0 მარშალი (5), 1:1 ლაბადია (56), 1:2 ფლო (85), 1:3 ფრაი (89)

**დორტმუნდი 2:3 მიუნხენ 1860**
0:1 პელე (13), 1:1 შაპუიზა (19), 1:2, 1:3 ვინკლერი (33, 48), 2:3 ზამერი (63)

**ლევერკუზენი 1:1 ჰანზა**
0:1 ლანგე (45), 1:1 ფელდჰოფი (87)

**გლადბახი 1:1 კარლსრუე**
1:0 შროტი (49), 1:1 ჩიკინიო (89)

**ჰამბურგი 2:1 ბოხუმი**
1:0 შპიორლი (53), 1:1 ჰოფმანი (62), 2:1 ცაიერი (78)

**ბაიერნი 1:1 შალკე**
0:1 ვილმოტსი (26), 1:1 ტარნატი (50)

**დუისბურგი 2:1 არმინია**
1:0 ცაიერი (33), 2:0 ვოლტერსი (39), 2:1 კუნცი (89)

**ჰერტა 1:0 კიოლნი**
1:0 სვერისონი (35)

მიხაელ ტარნატმა „ბაიერნს“ ქულაც გადაურჩინა და კლუბის ისტორიაში 1500-ე გოლის ავტორიც შესძინა. მიუნხენელებს წინა ხუთი ბუნდესლიგური შეხვედრა გამარჯვებებით ჰქონდათ გავლილი და მეექვსე მოგებით „კაიზერსლაუტერნის“ დაწევას ვარაუდობდნენ. თავიანთი გეგმა ჰქონდათ სტუმრებსაც, რომელთაც მშობლიურ სტადიონს გარეთ ჯერ წარმატებისთვის არ მიუღწევიათ და ბელგიელი თავდამსხმელის მარკ ვილმოტსის გოლმა საამისო იმედი ჩაუსახა. უეფას თასის მფლობელს მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილი 63 ათასი გულშემატკივრის გაწბილება სურდა, მაგრამ პირველ ტაიმში მიღწეული უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.

მასპინძლებმა თავიდანვე დაიპყრეს მოედნის ცენტრი, ოღონდ, როდესაც გელზენკირხენის გუნდში მოთამაშე ჩეხმა ნახევარმცველმა რადო ლავ ლატალმა მათ საჯარიმოში მაღალი პასი ჩააწოდა, ვილმოტსმა კი თაური დაარტყა, ვერაფერს გახდნენ და ამოცანაც გაურთულდათ. პირველი ტაიმის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე „შალკემ“ კინაღამ მეორე გოლიც შეაგდო: ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა რენე აიკელკამპმა, სწორედ იმან, თასების თასის გასულ გათამაშებაში, „ეინდჰოვენის“ შემადგენლობაში „ბათუმის“ წინააღმდეგ ორივე შეხვედრაში რომ მიიღო მონაწილეობა, ბურთი მიუნხენელთა საჯარიმოში შეიგდო და რომ არა მეკარე ოლივერ კანის ოსტატობა, მიზანსაც მიაღწევდა.

„ბაიერნის“ ფეხბურთელებს შესვენებისას თავიანთი იტალიელი მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის მკაცრი სიტყვების მოსმენა მოუხდათ და ისე მოუხდათ, რომ დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, ხელად რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან, შემდეგ კი ტარნატის საჯარიმო დარტყმით გაქვითეს ანგარიში.

ხასიათზე მოსულმა მიუნხენელმა გულშემატკივრებმა ხელად სიმღერა გააჩაღეს, მოგების იმედი გაუჩნდათ, მაგრამ ამაოდ. აღსანიშნავია, რომ „შალკეს“ სულ მცირე ცხრა წამყვანი მოთამაშე აკლდა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი დანაკარგი ლიბერო ოლაფ ტონი და თავდამსხმელი, კიდევ ერთი ბელგიელი, მიშელ გუსენსი გახლდნენ.

— პრობლემების მიუხედავად, ფეხბურთელები უტევდნენ და არ ნებდებოდნენ — განაცხადა შეხვედრის დამთავრების შემდეგ გელზენკირხენელების მწვრთნელმა ჰუბ სტევენსმა.

— დღევანდელი თამაში ჩვენთვის 14 დღეში მეხუთე იყო, რაც თავისთავად პრობლემა გახლავთ. „შალკემ“ მართლა ძალიან კარგად ითამაშა და ქულას იმსახურებდა — ასეთი გახლდათ ტრაპატონის აზრი, რომელსაც ოთხშაბათისთვის გუნდი ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის მატჩის ჩასატარებლად ჰყავს მოსამზადებელი — „ბაიერნი“ გიოტებორგში თამაშობს.

მიუნხენელთა კლუბში ამ დღეებში ერთი ადმინისტრაციული საკითხიც გაირკვა. ნოემბერში ფრანც ბეკენბაუერი ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს და 2000 წლამდე „ბაიერნის“ პრეზიდენტად დარჩება. წარსულში დიდ ფეხბურთელსა და მწვრთნელს იმედი აქვს, რომ ოლიმპიურ სტადიონს, რომელზეც ახლა 69 ათასი ადამიანი ეტევა, 80 ათასიან სარბიელად აქცევს.

ბუნდესლიგის ცხრილის სათავეში კი, დამარცხების მიუხედავად, „კაიზერსლაუტერნი“ დარჩა. „კაიზერმა“ თამაშის დაწყებისთანავე გახსნა ანგარიში: ოლაფ მარშალმა სეზონის მერვე გოლი გაიტანა და 35 ათას გულშემატკივარს მორიგი გამარჯვების მოლოდინში ხელები მოაფშვნეტინა, მაგრამ შესვენების შემდგომი 45 წუთი თავიდან ბოლომდე ბრემენელთა გამოდგა. მათ სამჯერ იძალეს.

— გასამარჯვებლად მეტი ოფლისღვრაა საჭირო — თქვა პრესკონფერენციაზე „კაიზერსლაუტერნის“ ახლანდელმა მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა, რომელიც უწინ, 14 წლის განმავლობაში, „ვერდერს“ ედგა სათავეში — მას მერე, რაც დავწინაურდით, მოვეშვით, „ვერდერი“ კი აშკარად მოსაგებად იყო განწყობილი. შესვენებისას ვცადე ფეხბურთელებისთვის ამეხსნა, რომ მეტი აგრესიულობა იყო საჭირო, მაგრამ ამაოდ.

„ვერდერის“ მწვრთნელი ვოლფგანგ სიდკა: დღეს გამარჯვებას ბევრი რამ გვაიძულებდა. მეორე ტაიმში სხვა გზა აღარ გვქონდა, უნდა გვეჩვენებინა ყველაფერი, რაც შეგვეძლია.

„კაიზერსლაუტერნს“ პირველი სერიოზული პრობლემა მე-20 წუთზე შეექმნა, როდესაც ბრემენელ რაფაელ ვიკისთან ორთაბრძოლაში მათმა ბრაზილიელმა მოთამაშემ რატინიომ თვალი იტკინა. საგანგებო აღნიშვნის ღირსი გახდა ვეტერანი დიტერ აილტსი, რომელმაც „კაიზერის“ ცნობილი გამთამაშებელი ჩირიაკო სფორცა მჭიდრო მარწუხებში მოაქცია.

სენსაციურად დამარცხდა დორტმუნდის „ბორუსია“.

— ძნელია, ასეთი მარცხის შემდეგ რაიმე დადებითი თქვა. ყველაფერთან ერთად, უიღბლო პერიოდიც გვიდგას. ახლა სერიოზული მუშაობა და მომავლის რწმენა გვმართებს. ჩვენ აუცილებლად გამოვასწორებთ მდგომარეობას — [illegible] ხადა ჩემპიონთა თასის მფლობე[illegible] იტალიელმა მწვრთნელმა ნევიო სკალამ.

პაპუნა ქედია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 8 | 6 | 1 | 1 | 17:9 | 19 |
| ბაიერნი | 8 | 5 | 2 | 1 | 18:7 | 17 |
| დუისბურგი | 8 | 5 | 1 | 2 | 10:9 | 16 |
| ჰანზა | 8 | 4 | 2 | 2 | 11:7 | 14 |
| ჰამბურგი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:11 | 12 |
| შალკე | 8 | 3 | 3 | 2 | 8:8 | 12 |
| შტუტგარტი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:8 | 11 |
| ვერდერი | 8 | 3 | 2 | 3 | 13:15 | 11 |
| ვოლფსბურგი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:14 | 11 |
| მიუნხენ 1860 | 8 | 2 | 4 | 2 | 12:12 | 10 |
| გლადბახი | 8 | 2 | 4 | 2 | 12:13 | 10 |
| დორტმუნდი | 8 | 2 | 3 | 3 | 14:11 | 9 |
| არმინია | 8 | 3 | 0 | 5 | 9:10 | 9 |
| კარლსრუე | 8 | 2 | 3 | 3 | 15:19 | 9 |
| ლევერკუზენი | 8 | 2 | 2 | 4 | 15:13 | 8 |
| ბოხუმი | 8 | 2 | 1 | 5 | 10:16 | 7 |
| კიოლნი | 8 | 2 | 1 | 5 | 11:18 | 7 |
| ჰერტა | 8 | 1 | 2 | 5 | 5:15 | 5 |

### მეორე ბუნდესლიგა

მე-8 ტური. ნიურნბერგი — უნტერჰახინგი 1:0, დიუსელდორფი — ცვიკაუ 4:1, ფორტუნა — გიუტერსლო 2:2, კიკერსი — ზანქტ პაული 3:1, ვატენშაიდი — მაინცი 1:1, კარლ ცაისი — აინტრახტი 2:1, ფრაიბურგი — მეპენი 4:2, კოტბუსი — ფიურტი 3:0. ლაიპციგი — ურდინგენი (დღეს)

სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

## ინგლისი

IX ტური

**ასტონ ვილა 2:2 შეფილდი**
0:1 კოლინზი (26), 1:1 სტონტონი (32), 1:2 ვითინგემი (42), 2:2 ტეილორი (49)

**ბარნსლი 0:2 ლესტერი**
0:1 მარშალი (55), 0:2 ფენტონი (63)

**ჩელსი 1:0 ნიუკასლი**
1:0 პოიეტი (75)

**კრისტალ პალასი 2:2 ბოლტონი**
1:0 უორჰარსტი (9), 2:0 გორდონი (19), 2:1 ბერდსლი (36), 2:2 იოჰანსენი (66)

**დერბი 4:0 საუთჰემპტონი**
1:0 ერანიო (76პ), 2:0 ვენჩოპი (79), 3:0 ბაიანო (82), 4:0 კარსლი (83)

**ევერტონი 2:2 არსენალი**
0:1 რაიტი (32), 0:2 ოვერმარსი (41), 1:2 ბოლი (49), 2:2 კადამარტერი (56)

**ლიდსი 1:0 მანჩესტერი**
1:0 უეზეროლი (34)

**ტოტენჰემი 0:0 უიმბლდონი**

**ვესტ ჰემი 2:1 ლივერპული**
1:0 ჰართსონი (16), 1:1 ფაულერი (52), 2:1 ბერკოვიჩი (65)

**ბლექბერნი 0:0 ქოვენთრი**

„ლიდსის“ მეკარე ნაიჯელ მარტინმა დევიდ ბექემს და ტედი შერინგემს ორი მკვდარი ბურთი აუღო, სხვაც ბევრი მოიგერია და თავის გუნდს მცველ უეზეროლის თაურით მიღწეული უპირატესობა ბოლომდე შეუნარჩუნა, ვენგერის „არსენალს“ კი დაწინაურების შანსი მისცა.



REUTERS ლიდსიდან

სოლსკიაერმა ლიდსელებს ვერაფერი დააკლო

# სიმენი ბავშვებმა დაჩაგრეს

მეთოფეები აქამდეც პირველ ადგილზე იყვნენ, მაგრამ მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით, ახლა კი ქულით დასცილდნენ ფერგიუსონის ბიჭებს. არადა, სამქულიანი უპირატესობის მოპოვებაც შეეძლოთ — პირველ ტაიმში „ევერტონს“ 2:0-ს უგებდნენ, მაგრამ მეორეში 34 წლის სიმენმაც ორი გაუშვა. საინტერესოა, რომ ამ პატივცემული მეკარის კარში გატანილი გოლების ავტორები არიან დენი კადამარტერი და მაიკლ ბოლი, 17-17 წლისანი, ანუ ორივე ერთად — სიმენის ხნისაა.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ კი ერთბაშად სამი უბედურება დაატყდა თავს — წააგო, როი კინი დაუშავდა, რაც „იუვენტუსთან“ თამაშის წინ დიდ პრობლემას უქადის და, ამავდროულად... მოიგო „მანჩესტერ სიტიმ“. ეს პრემიერლიგასთან რა კავშირშია, მაგრამ აღარავის ახსოვს ის დღე, როცა ამ ქალაქის „სიტიმ“ მოიგო, „იუნაიტედმა“ კი წააგო, რაც სიტელებისთვის დღესასწაულის ტოლფასია. თან გიოს გუნდმა 6:0 მოიგო და ერთი გოლი ჩვენებურის ანგარიშზეა. ისე, სანამ პრემიერლიგას დავუბრუნდებით, მეორე დივიზიონზეც ვთქვათ, სადაც ალ ფაედის, კიგანის და უილკინსის „ფულემი“ თამაშობს. ამათი სადებიუტო მატჩი მარცხიანი გამოდგა — „ფულემმა“ სტუმრად 1:2 წააგო.

ახლა კი ისევ პრემიერლიგა. ცხადია, ჩვენი ყურადღება „სტემფორდ ბრიჯისკენ“ იყო მიპყრობილი, სადაც „ჩელსი“ „ნიუკასლს“ მასპინძლობდა. ქეცბაია ამჯერადაც არ იყო ძირითად შემადგენლობაში და მოედანზე 56-ე წუთზეღა გამოჩნდა ტომასონის ნაცვლად, 19 წუთის მერე კი უაიზის კუთხურს ურუგვაელმა პოიეტმა საგოლე თაური შეაგება და ქართველის გუნდი სეზონში მეორედ დამარცხდა.

დამარცხდა „ლივერპულიც“. „ვესტ ჰემთან“ მატჩის მშვენება რობი ფაულერის გოლი კი იყო, მაგრამ ერთ[illegible] მასპინძლებმა ორი [illegible]ბრივი გოლით უპასუხეს და მიუხედავად იმისა, რომ მატჩის ბოლოს როი ევანსმა ერთბაშად ოთხი თავდამსხმელით შეუტია, სამი ქულა მაინც „ეპტონ პარკზე“ დარჩა.

საოცარი რამ მოხდა დერბიში, სადაც 76 წუთი არაფერი გაკეთებულა, მერე კი მასპინძელთა იტალიელი მცველი სტეფანო ერანიო სტუმრებმა საკუთარ საჯარიმოში მოცელეს და „დერბიმაც“ იქუხა — რვა წუთში ოთხი გოლი შეაგდო.

ეს ყველაფერი შაბათს მოხდა, გუშინ კი „ბლექბერნს“ შინ „ქოვენთრის“ მლეტის შემთხვევაში ჩემპიონის გადასწრების შანსი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა.

დღეისთვის ეს ვიკმაროთ. ვრცლად პრემიერლიგის მეცხრე ტურის შესახებ ხვალინდელ ნომერში წაიკითხავთ.

გიგა კოგახიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 9 | 5 | 4 | 0 | 22:10 | 19 |
| მანჩესტერი | 9 | 5 | 3 | 1 | 12:4 | 18 |
| ლესტერი | 9 | 5 | 3 | 1 | 13:6 | 18 |
| ჩელსი | 8 | 5 | 1 | 2 | 22:10 | 16 |
| ბლექბერნი | 9 | 4 | 4 | 1 | 19:9 | 16 |
| ლიდსი | 9 | 4 | 1 | 4 | 11:11 | 13 |
| ვესტ ჰემი | 9 | 4 | 1 | 4 | 12:14 | 13 |
| დერბი ქაუნთი | 7 | 4 | 0 | 3 | 14:7 | 12 |
| ლივერპული | 8 | 3 | 3 | 2 | 12:8 | 12 |
| ნიუკასლი | 6 | 4 | 0 | 2 | 6:5 | 12 |
| კრისტალ პალ. | 9 | 3 | 2 | 4 | 9:11 | 11 |
| ქოვენთრი | 9 | 2 | 5 | 2 | 8:11 | 11 |
| ტოტენჰემი | 9 | 2 | 4 | 3 | 6:10 | 10 |
| ასტონ ვილა | 9 | 3 | 1 | 5 | 10:15 | 10 |
| უიმბლდონი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:10 | 9 |
| ევერტონი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:13 | 8 |
| ბოლტონი | 8 | 1 | 5 | 2 | 8:11 | 8 |
| შეფილდი | 9 | 1 | 3 | 5 | 11:22 | 6 |
| ბარნსლი | 9 | 2 | 0 | 7 | 7:23 | 6 |
| საუთჰემპტონი | 9 | 1 | 1 | 7 | 5:17 | 4 |

### პირველი დივიზიონი

მე-9 ტური. ნორვიჩი — იფსვიჩი 2:1; ბერი — ვესტ ბრომვიჩი 1:3; ჩარლტონი — სტოკპორტი 1:3; ქრიუ — ტრანმერი 2:1; მანჩესტერ სიტი — სვინდონი 6:0; ნოტინგემი — სტოკ სიტი 1:0; ოქსფორდი — ბრედფორდი 0:0; პორტ ვეილი — ქუინზ პარკი 2:0; პორტსმუთი — რედინგი 0:2; შეფილდ იუნაიტედი — ბირმინგემი 0:0; სანდერლენდი — მიდლსბრო 1:2; ვულვერჰემპტონი — ჰადერსფილდი 1:1

## ჰოლანდია

VIII ტური

**ტვენტე 1:1 ბრედა**
0:1 მილიჩიჩი (13), 1:1 ვან ალსტი (80პ)

**სიტარდი 1:7 ვიტესი**
0:1 ვან დენ ბრომი (13), 0:2 მახლასი (16), 1:2 ბარკი (18), 1:3 ჩუროვიჩი (19), 1:4 პეროვიჩი (26), 1:5 მახლასი (30), 1:6 კუროვიჩი (49), 1:7 მახლასი (90)

**ჰერენვენი 0:1 აიაქსი**
0:1 ბაბანგიდა (57)

**მაასტრიხტი 2:0 ნაიმეგენი**
1:0 ბუმა (22), 2:0 ტეივო (90)

**გრაფსხაპი 1:0 ვალვაიკი**
1:0 ვისკაალი (27პ)

**სპარტა 3:1 როდა**
0:1 ტორმა (8), 1:1 დე ნოიერი (18), 2:1 გრუნენდაიკი (32), 3:1 რენფურმი (77)

**გრონინგენი 2:0 ფეიენოორდი**
1:0, 2:0 რორაიე (31, 40)

**უტრეხტი 2:2 ტილბურგი**
1:0 დეშეივერი (25), 2:0 რობემონდი (34), 2:1, 2:2 არტსი (34პ, 64პ)

**ვოლენდამი 0:6 ეინდჰოვენი**
0:1 კოკუ (12), 0:2 ზენდენი (29), 0:3 კოკუ (38), 0:4 ზენდენი (40), 0:5, 0:6 ნილისი (60, 80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 8 | 8 | 0 | 0 | 36:3 | 24 |
| ეინდჰოვენი | 8 | 5 | 3 | 0 | 25:9 | 18 |
| ჰერენვენი | 8 | 5 | 2 | 1 | 12:5 | 17 |
| ტვენტე | 8 | 4 | 3 | 1 | 12:7 | 15 |
| ფეიენოორდი | 7 | 4 | 2 | 1 | 14:5 | 14 |
| ვიტესი | 8 | 4 | 2 | 2 | 21:15 | 14 |
| გრონინგენი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:10 | 12 |
| როდა | 8 | 4 | 0 | 4 | 13:12 | 12 |
| სპარტა | 8 | 3 | 2 | 3 | 18:14 | 11 |
| გრააფსხაპი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:6 | 11 |
| ბრედა | 7 | 2 | 3 | 2 | 7:8 | 9 |
| ტილბურგი | 8 | 2 | 2 | 4 | 13:17 | 8 |
| ვალვაიკი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:15 | 8 |
| ნაიმეგენი | 8 | 2 | 0 | 6 | 5:18 | 6 |
| უტრეხტი | 8 | 1 | 2 | 5 | 13:24 | 5 |
| სიტარდი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:23 | 5 |
| ვოლენდამი | 8 | 1 | 2 | 5 | 5:25 | 5 |
| მაასტრიხტი | 8 | 1 | 0 | 7 | 5:23 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ნიკოს მახლასი (ვიტესი) | 9 |
| შოთა არველაძე (აიაქსი) | 7 |
| ტიჯანი ბაბანგიდა (აიაქსი) | 7 |
| დენის დე ნოიერი (სპარტა) | 7 |

# მეცთან ხუმრობა არ შეიძლება

## საფრანგეთი

IX ტური

**მეცი 3:0 ოსერი**
1:0 როდრიგესი (33), 2:0 მეირუ (44), 3:0 პირე (82)

**პსჟ 1:1 მონპელიე**
1:0 რაი (28პ), 1:1 ბაილსი (49)

**მონაკო 3:2 სტრასბური**
1:0 ტრეზეგე (5), 1:1 მიცელი (17), 2:1 ანრი (48), 2:1 ზიტელი (61), 3:2 იკპება (68)

**რენი 2:0 ბასტია**
1:0 დარშევილი (43), 2:0 დი კოსტანცო (90)

**ტულუზი 3:0 გინგამი**
1:0, 2:0 ტიეპი (36, 49), 3:0 პატილარდი (83)

**შატორუ 2:1 ლე ავრი**
1:0 დურფენსი (29), 2:0 მაიელი (36), 2:1 დურფენსი (66 ს.კ.)

**ნანტი 1:2 კანი**
0:1 ბუტობა (36), 0:2 მარსილია (52), 1:2 გიალანზა (80)

**ლიონი 1:3 ლანსი**
0:1 დეჰუ (19), 0:2 ლაშორი (42), 0:3 ზიანი (55), 1:3 კაველია (57)

**ბორდო 2:0 მარსელი**
1:0 ლასლანდი (9), 2:0 პაპენი (63)

„მეცმა“ ლიდერობა განიმტკიცა და მას ამაში „პარი სენ ჟერმენის“ უცნაურმა ფრემ შეუწყო ხელი. მეცელთაგან ანგარიში ბრწყინვალე თაურით ბრუნო როდრიგესმა გახსნა. ეს სეზონში მისი მეექვსე გოლი გამოდგა, რომელიც ფრედერიკ მეირუს მიერ ჩაწოდებული ჯარიმის შედეგი გახლდათ. გამთამაშებელმა მეირუმ თავისი გოლი შესვენების წინ შეაგდო. მას ასისტენტობა ბელგიელმა ვეტერანმა დენი ბოფინმა გაუწია, მესამე კი მოედანზე მეორე ნახევარში შესულმა საფრანგეთის ნაკრების წევრმა რობერ პირემ დაამატა.

„პარი სენ ჟერმენის“ საშინაო ფრეს „მონპელიესთან“ კი არავინ ელოდა. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. ლორან ფურნიე მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და თაურის დარტყმას აპირებდა, როდესაც კრისტოფ სანჩესმა იგი მაისურით დაიჭირა და დაქაჩა, რისთვისაც პენალტი დაინიშნა. თერთმეტი მეტრიდან დარტყმა, როგორც ყოველთვის, რაიმ შეასრულა. მეორე ტაიმში სტუმრებმა გაათანაბრეს, პასკალ ბაილსმა პარიზელთა გოლკიპერს კრისტოფ რევოს ბურთი ფეხებს შორის გაუძვრინა. თამაშის მიწურულს „სენ ჟერმენის“ იტალიელმა თავდამსხმელმა მარკო სიმონემ მართალია ერთხელაც დასცა „მონპელიეს“ კარი, მაგრამ არბიტრმა ეპიზოდი ოფსაიდად მიიჩნია და გოლი არ ჩათვალა.

კიდევ ერთ მეკარეს გაუძვრა ბურთი ფეხებს შორის. იგი „მონაკოს“ კარის მცველი ფაბიენ ბარტეზი გახლდათ. ეს „სტრასბურის“ პირველი გოლის დროს მოხდა. იმ დღეს მონაკოს ლუი მეორეს სტადიონზე სტუმრებმა ორჯერ გაათანაბრეს ანგარიში, თავიდან მას მერე, რაც ჭაბუკ დავიდ ტრეზეგემა გახსნა ანგარიში, შემდეგ კი ტიერი ანრის მეორე გოლის პასუხად. იმ მომენტში ბარტეზმა უხეში შეცდომა დაუშვა. და მაინც, „მონაკომ“ გამარჯვების გოლი შეაგდო. ეს ნიგერიელმა ვიქტორ იკპებამ მოახერხა, მას მერე, რაც ანრიმ ხეირიანი პასი ჩააწოდა. ეს იკპებას მეექვსე გოლი იყო განვლილ ცხრა ტურში.

— ბევრს ვუტევდით და ვცდილობდით ერთი შეხებით გვეთამაშა, მაშინაც კი, როდესაც ერთი შეხედვით სუსტად გამოვიყურებოდით. დღევანდელი შეხვედრა მოსამზადებელიც იყო. გვინდა ამავე ყაიდით, ოღონდ უკეთესად ვითამაშოთ ოთხშაბათს, ჩემპიონთა თასზე ლევერკუზენის „ბაიერის“ წინააღმდეგ — თქვა „მონაკოს“ მწვრთნელმა ჟან ტიგანამ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 9 | 7 | 2 | 0 | 18:6 | 23 |
| პსჟ | 9 | 6 | 2 | 1 | 20:8 | 20 |
| ბორდო | 9 | 5 | 2 | 2 | 14:13 | 17 |
| მონაკო | 9 | 5 | 1 | 3 | 16:10 | 16 |
| ლანსი | 9 | 4 | 3 | 2 | 13:7 | 15 |
| ბასტია | 9 | 4 | 3 | 2 | 10:7 | 15 |
| ტულუზი | 9 | 4 | 3 | 2 | 9:10 | 15 |
| გინგამი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:9 | 14 |
| მარსელი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:9 | 14 |
| ლიონი | 9 | 4 | 0 | 5 | 12:13 | 12 |
| ოსერი | 9 | 3 | 0 | 6 | 14:16 | 9 |
| რენი | 9 | 2 | 3 | 4 | 10:15 | 9 |
| მონპელიე | 9 | 1 | 5 | 3 | 9:12 | 8 |
| ნანტი | 9 | 2 | 2 | 5 | 6:9 | 8 |
| შატორუ | 9 | 2 | 2 | 5 | 8:17 | 8 |
| სტრასბური | 9 | 1 | 4 | 4 | 8:14 | 7 |
| კანი | 9 | 2 | 1 | 6 | 8:16 | 7 |
| ლე ავრი | 9 | 1 | 3 | 5 | 10:14 | 6 |

## იტალია

IV ტური

**პარმა 4:0 უდინეზე**

1:0 კრესპო (32), 2:0 სენსინი (83), 3:0 მანიერო (86), 4:0 სტრადა (883)

**სამპდორია 1:1 იუვენტუსი**

1:0 მორალესი (15), 1:1 ინძაგი (90)

**ლაციო 3:2 ბარი**

1:0 ნედველი (6), 1:1 ვოლპი (45), 1:2 რიპა (65), 2:2 სინიორი (89), 3:2 ნედველი (90)

**ლეჩე 1:5 ინტერი**

0:1 ჯორკაეფი (32), 0:2 რონალდო (45), 1:2 პალმიერი (603), 1:3 ჯორკაეფი (77), 1:4 რონალდო (81), 1:5 განცი (83)

**ბრეშია 2:0 პიაჩენცა**

1:0 საბაუ (40), 2:0 ჰუბნერი (46)

**ფიორენტინა 1:2 ემპოლი**

1:0 ბატისტუტა (24), 1:1 ტონეტო (60), 1:2 მარტუსკიელო (95)

**მილანი 0:1 ვიჩენცა**

0:1 დი ნაპოლი (45)

**ნაპოლი 0:1 ატალანტა**

0:1 კაჩა (50)

**ბოლონია 0:0 რომა**

„მილანს" ასეთი ცუდი სტარტი 1972-73 წლების სეზონის შემდეგ არ ჰქონია. არტურო დი ნაპოლის ერთადერთმა გოლმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ფაბიო კაპელოს გუნდში შექმნილ კრიზისს. მილანელ შავ-წითლებს ჯერ არ მოუგიათ.

„ემპოლის" კი ასეთი ზღაპრული სტარტი ალბათ არასდროს ჰქონია. მართალია, ბატისტუტამ ანგარიში გახსნა და ოთხ თამაშში თავისი მეშვიდე გოლი შეაგდო, მაგრამ „ფიორენტინასთვის" ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. წინა ტურში „ლაციოს" მძლეველი „ემპოლი" სერია A-ს ფავორიტთა რისხვად მოევლინა.

...თამაშის მიწურულს „ლეჩეს" გულშემატკივრები სტადიონს სტოვებდნენ. მათ საფინალო სასტვენისთვის აღარ დაუცდიათ, ყველაფერი ნათელი იყო — „ინტერმა" მეოთხე შეხვედრაში მეოთხე გამარჯვება მოიპოვა. ასეთი იყო ბოლო, დასაწყისი კი სულ სხვანაირი გახლდათ: ლეჩელი ტიფოზები სტადიონისკენ მიმავალ „ინტერის" ავტობუსს ქვებს უშენდნენ. არავინ დაშავებულა, ჩაიმტვრა ორი ფანჯარა. ქვის მსროლელები პოლიციის გამოჩენამდე გაიქცნენ. მოედანზე კი მილანელთა უპირატესობა მეტად თვალსაჩინო გახლდათ.

„იუვენტუსმა" მსაჯის მიერ დამატებულ დროში გააბათილა გენუელი მორალესის გოლი. ეს ფილიპო ინძაგიმ შეძლო — სეზონში თავისი მეოთხე გაიტანა. ტურინელები პაოლო მონტეროს გაძევების შემდეგ, ბოლო 16 წუთის მანძილზე, მოედანზე ათნი იყვნენ.

„პარმამ" „უდინეზე" ბოლო ათ წუთში გაანადგურა, თუმცა მისი მწვრთნელი ანჩელოტი მაინც შეფიქრიანებული ჩანდა.

— ანგარიში გამამხნევებელია, მაგრამ ვგონებ, ცოტა გადაჭარბებული. 75 წუთის განმავლობაში მეტოქეები თანაბრად ასპარეზობდნენ. ის, რაც ბოლოს მოხდა, საჩუქრად მივიღეთ — თქვა მან.

უცნაური თამაში გამოდგა „ლაციო" — „ბარი". რომაელებმა ანგარიში მე-6 წუთზე გახსნეს, შემდეგ კი, მთელი მეორე ტაიმი იმის ცდაში იყვნენ, წაგებას გადარჩენილიყვნენ. მათ საწადელს მიაღწიეს, ის კი არა და გაიმარჯვეს კიდეც, ოღონდ ეს სულ ბოლოს მოხდა. 89-ე წუთზე ჯუზეპე სინიორიმ გაათანაბრა ანგარიში, 90-ზე კი ჩეხმა პაველ ნედვედმა მოწინააღმდეგეს სამი ქულა გამოგლიჯა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 14:6 | 12 |
| პარმა | 4 | 3 | 1 | 0 | 11:3 | 10 |
| იუვენტუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:1 | 8 |
| რომა | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| სამპდორია | 4 | 2 | 2 | 0 | 8:5 | 8 |
| ლაციო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ატალანტა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ვიჩენცა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ფიორენტინა | 4 | 2 | 0 | 2 | 9:8 | 6 |
| ემპოლი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| უდინეზე | 4 | 2 | 0 | 2 | 6:9 | 6 |
| ნაპოლი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ბრეშია | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | 4 |
| მილანი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| ბოლონია | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| პიაჩენცა | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | 1 |
| ბარი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |
| ლეჩე | 4 | 0 | 0 | 4 | 3:12 | 0 |

### სერია B

მე-5 ტური. ტორინო — ჯენოა 2:1, ანკონა — ვენეცია 0:1, კალიარი — ფოჯა 1:1, დი სანგრო — რავენა 2:1, კიევო — რეჯანა 1:0, ფ. ანდრია — ლუკეზე 3:0, პადოვა — სალერნიტანა 0:0, პერუჯა — ტრევიზო 2:1, პესკარა — ვერონა 1:1, რეჯინა — მონცა 1:0

## ესპანეთი

IV ტური

**სალამანკა 0:0 ბილბაო**

**დეპორტივო 4:1 რასინგი**

0:1 ბესჩასტნიხი (17), 1:1 ლუისაო (35), 2:1 ჯალმინია (433), 3:1 ლუისაო (67), 4:1 კონსეისაუ (90)

**ატლეტიკო 3:3 სელტა**

0:1 რევივო (2), 0:2 კადეტე (57), 1:2 ვიერი (75), 2:2 ხოსე მარი (77), 3:2 ვიერი (80), 3:3 ბერჩესი (90)

**ვალენსია 0:2 რეალი**

0:1 რაული (69), 0:2 მიატოვიჩი (79)

**სოსიედადი 3:0 ვალიადოლიდი**

1:0 კოვაჩევიჩი (20), 2:0 დე პაულა (54), 3:0 ლორენი (70)

**სპორტინგი 1:4 ბარსელონა**

0:1 ლუის ენრიკე (2), 0:2 რივალდო (8), 1:2 ბანგო (30), 1:3 ლუის ენრიკე (73), 1:4 რივალდო (83)

**სარაგოსა 2:2 კომპოსტელა**

0:1 ბელიდო (55), 1:1, 2:1 აგუადო (64, 73), 2:2 ოპენი (90)

**ბეტისი 1:1 ოვიედო**

0:1 ხუან გონსალესი (11), 1:1 ოლი (38)

**ტენერიფე 1:4 მალიორკა**

0:1 მენა (4), 1:1 კოდრო (28), 1:2 ამატო (413), 1:3 მენა (743), 1:4 მოჩუ (90)

*ესპანიოლი — მერიდა დღეს შეხვდება*

ესპანური ფეხბურთის სხვა მრავალ რეკორდთან ერთად „ბარსელონას" ერთი საოცარი მიღწევაც ეკუთვნის — 1985 წელს, „რეალის" ხუთწლიან ჰეგემონიამდე, ტერი ვენეიბლზის გუნდმა ჩემპიონატი ისე მოიგო, პირველი ტურიდან ფინიშამდე პირველი ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია. კატალონელებს იმ მიღწევის გამეორების შანსი ახლაც აქვთ — ვან გაალის გუნდმა მეოთხე თამაშიც დამაჯერებლად მოიგო — მაგრამ ეს ამოცანა, ცხადია, ძნელი განსახორციელებელია.

ერთი შეხედვით, ლურჯ-წითელთა რიგებში თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ დაირხა ხმები, ვან გაალი და ამპარტავანი სტოიჩკოვი შელაპარაკდნენ და შესაძლოა, ბულგარელმა ვადაზე ადრე დატოვოს კლუბიო. ამასობაში იმარჯვა ესპანური ფეხბურთის მეორე გრანდმა „რეალმა", თუმცა მას შემდეგ, რაც მეტოქე კაცნაკლული დარჩა — 63-ე წუთზე ვალენსიელი ხავი ნავარო მეორე გაფრთხილების გამო გააძევეს. „რეალმა" დაუმარცხებელი მატჩების სერია განაგრძო, ზღვისპირელებს კი ვერც მწვრთნელის გამოცვლამ უშველა. სანამ „ბარსა" და „რეალი" იგებდნენ, ჩემპიონობისთვის მათთან ხანდახან მოპაექრე „ატლეტიკომ" შინ „სელტას" ვერ სძლია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 0 | 12:2 | 12 |
| მალიორკა | 4 | 3 | 1 | 0 | 13:5 | 10 |
| რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 10 |
| სელტა | 4 | 2 | 2 | 0 | 8:5 | 8 |
| ტენერიფე | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ოვიედო | 4 | 1 | 3 | 0 | 7:5 | 6 |
| სოსიედადი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| რასინგი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| ატლეტიკო | 4 | 1 | 2 | 1 | 9:5 | 5 |
| დეპორტივო | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 5 |
| ესპანიოლი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| კომპოსტელა | 4 | 1 | 2 | 1 | 8:7 | 5 |
| სარაგოსა | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| ბეტისი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ბილბაო | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| სალამანკა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| მერიდა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ვალენსია | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | 0 |
| სპორტინგი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:14 | 0 |
| ვალიადოლიდი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:13 | 0 |

### მეორე დივიზიონი

მე-5 ტური. რაიო — ალბასეტე 0:0; ლევანტე — ლეიდა 1:1; ალავესი — ორენსე 0:1; ვილიარეალი — ტოლედო 1:1, ერკულესი — ეიბარი 0:0, ოსასუნა — ლას პალმასი 3:1, ლეგანესი — ხაენი 2:1, ატლეტიკო B — ხერესი 2:0, სევილია — ელჩე 0:0, ლოგრონიესი — ესტრემადურა 1:1, ნუმანსია — ბადახოსი 0:0

FRANCE 98

### შესარჩევი ტურნირი

## აზია

B ჯგუფი

**უზბეკეთი 2:3 საამიროები**

1:0 შირშოვი (12), 1:1 ბაქითი (56), 1:2 საადი (64), 1:3 ალთალიანი (85), 2:3 ბაზაროვი (90)

**იაპონია 1:2 კორეა**

1:0 იამაგუჩი (65), 1:1 იონ ვონი (83), 1:2 მინ სუნი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორეა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| საამიროები | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| იაპონია | 3 | 1 | 1 | 1 | 7:5 | 4 |
| უზბეკეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 7:12 | 1 |
| ყაზახეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:8 | 1 |

# გიჟი ვარ!



სანამ ბულგარელი ხრისტო სტოიჩკოვი აზრს არ შეიცვლის, გუნდში არ ითამაშებს — განაცხადა ევროპის ერთ-ერთმა უდიდესმა გუნდმა „ბარსელონამ".

საქმე ის გახლავთ, რომ „ბარსელონას" ახალ მწვრთნელს, ჰოლანდიელ ლუის ვან გაალს ძირითად შემადგენლობაში სტოიჩკოვის ჩართვას ბრაზილიელების — სონი ანდერსონისა და რივალდოს თამაში ურჩევნია და ამიტომ, ახალ სეზონში სტოიჩკოვი სასტარტო შემადგენლობაში ერთხელაც არ გაუყვანია. ბულგარელი ამით ფრიად უკმაყოფილოა და როგორც კი საშუალება მიეცემა, ვან გაალს აკრიტიკებს.

მწვერვალი წინა ორშაბათს იყო. სტოიჩკოვმა ვარჯიშის დროს მეორე მწვრთნელს პაკო სეირულოს სათვალე გამოართვა, ცხვირის წვერზე დაიმაგრა და გამოხედვით ვან გაალს მიბაძა. ფოტორეპორტიორებმა თავისი საქმე შეასრულეს, ვან გაალმა კი ბულგარელს მკაცრად მოსთხოვა პასუხი. სტოიჩკოვს ხუმრობა ვერ გაუგეს და კლუბის შეურაცხყოფაში დასდეს ბრალი.

ამრიგად, თავდამსხმელს, რომელიც „ბარსელონაში" 1990 წლის შემდეგ თამაშობს (იტალიურ „პარმაში" გატარებული ერთი სეზონის გარდა) და რომელმაც თავის ექვს ესპანურ სეზონში 83 გოლი გაიტანა, ვან გაალთან ფამილარობა შეიძლება გუნდის დატოვებად დაუჯდეს. მას კონტრაქტის ვადა გაისად ეწურება, ამიტომ მისი ახლა გასხვისება კატალონური კლუბისთვის კარგ შემოსავალს ნიშნავს. მყიდველი სტოიჩკოვს უეჭველად მრავლად ეყოლება. ბულგარულმა პრესამ ისიც კი დაწერა, „ბარსას" დატოვება თავად ფეხბურთელს სურსო.

— მე გენიოსი ვარ, მაგრამ იმავდროულად გიჟიც გახლავართ — უთქვამს სტოიჩკოვს ერთხელ.

— არავინ იცის, ჩემგან რას უნდა ელოდოს. ეს მე თავად არ ვიცი — განუცხადებია მეორედ.

მას ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციასთან ხშირად ჰქონდა კონფლიქტი, შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე კი ფრანგთა განური წარმოშობის ნახევარმცველი მარსელ დესაი რასისტულად გამოლანძღა. ნეტავ ახლა რას იზამს?

## ეს ჯადოსნური ევროპა



ბრაზილიური კლუბი „ვიტორია" თავისი ფეხბურთელის, ცნობილი ბებეტოს გაყიდვას დაყაბულდა. როგორც კლუბის სპონსორმა „ბანკო ექსელმა" განაცხადა, ის შესაძლოა ესპანურ „დეპორტივო ლა კორუნიას" დაუბრუნდეს.

თავიდან „ვიტორიამ" ესპანელთა წინადადება შორს დაიჭირა. მისმა პრეზიდენტმა პაულუ კარნეირუმ განაცხადა, ბებეტოში გაცილებით მეტი ფულის მიღება შემიძლიაო, მაგრამ „ბანკო ექსელის" წარმომადგენელმა სერჟიუ ტონიელუმ თქვა, კლუბიცა და სპონსორიც ერთ აზრზე ვართ, ბებეტოს იანვრიდან სამი წლით „დეპორტივოს" მივყიდითო. ტონიელუს განცხადებით, გარიგება 5 მილიონ დოლარს მოიცავს.

ბებეტო არ მალავს, რომ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა თამაში, არადა ბოლოს ეროვნულ გუნდში 1995 წლის ოქტომბერში, სლოვაკთა წინააღმდეგ იასპარეზა. 1996 წლის გაზაფხულზე „დეპორტივოდან" წასვლის შემდეგ თავდამსხმელმა ხეირიანი ადგილი ვერ იშოვნა, ხან ბრაზილიურ „ფლამენგოს" მიეკედლა, ხან ესპანურ „სევილიას" და ბოლოს ისევ ბრაზილიურ „ვიტორიაში" ამოჰყო თავი. „ვიტორია" ბაიას შტატის გუნდია, ბაიას შტატი კი ბებეტოს მშობლიური კუთხე გახლავთ.

— ჩვენ ბებეტოს გაყიდვა იმიტომ არ გვსურდა, რომ ის ბაიას ნაწილია. ჩვენ მას გრძელვადიანი კონტრაქტი გავუფორმეთ, რაც ბრაზილიაში იშვიათობაა. კონტრაქტი მისთვის ჩინებული იყო, მაგრამ რა გაეწყობა, თუ მას ევროპაში სურს დაბრუნება — თქვა ტონიელუმ.

ბებეტო „ვიტორიას" ბომბარდირია. „გრემიოსთან" შეხვედრაში ტრავმა რომ მიიღო, გულშემატკივრებმა ტაშით გააცილეს, ის კი რიოში სამკურნალოდ ჩავიდა და უკან აღარ ბრუნდება. ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელ მარიო ზაგალოს ბებეტო ცოტა ხნის წინ ეკვადორთან ამხანაგურ თამაშში ჰყავდა გამოძახებული, მაგრამ ტრავმამ გეგმა ჩაშალა.

## შოტლანდია

მე-7 ტური. აბერდინი — დანფერმლაინი 1:2; დანდი იუნაიტედი — სელტიკი 1:2; ჰიბერნიანი — სენტ ჯონსტონი 1:1; კილმარნოკი — ჰართსი 0:3; რეინჯერსი — მოზერველი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰართსი | 7 | 5 | 0 | 2 | 14:8 | 15 |
| რეინჯერსი | 6 | 4 | 2 | 0 | 18:7 | 14 |
| ჰიბერნიანი | 7 | 3 | 3 | 1 | 14:7 | 12 |
| სელტიკი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:7 | 12 |
| დანფერმლაინი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:13 | 11 |
| მოზერველი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:8 | 8 |
| სტ ჯონსტონი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | 6 |
| კილმარნოკი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:12 | 5 |
| დანდი იუნ. | 7 | 0 | 3 | 4 | 7:14 | 3 |
| აბერდინი | 7 | 0 | 3 | 4 | 7:15 | 3 |

## შვეიცარია

მე-13 ტური. ბაზელი — ლოზანა 0:1; კრინსი — არაუ 3:5; სერვეტი — ქსამაქსი 2:0; ციურიხი — კარუჟი 3:0. *სიონი — ლუცერნი და სტ. გალენი — გრასჰოპერი გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 13 | 9 | 4 | 0 | 26:11 | 31 |
| გრასჰოპერი | 12 | 8 | 2 | 2 | 35:14 | 26 |
| ლოზანა | 13 | 7 | 3 | 3 | 26:17 | 24 |
| სენტ გალენი | 12 | 5 | 4 | 3 | 24:19 | 19 |
| ციურიხი | 13 | 4 | 6 | 3 | 16:16 | 18 |
| სიონი | 12 | 4 | 5 | 3 | 18:14 | 17 |
| არაუ | 13 | 5 | 2 | 6 | 21:19 | 17 |
| ქსამაქსი | 13 | 4 | 3 | 6 | 18:22 | 15 |
| კრინსი | 13 | 4 | 3 | 6 | 14:20 | 15 |
| ლუცერნი | 12 | 3 | 4 | 5 | 13:19 | 13 |
| ბაზელი | 13 | 2 | 2 | 9 | 13:27 | 8 |
| კარუჟი | 13 | 0 | 4 | 9 | 11:37 | 4 |

## პორტუგალია

მე-5 ტური. პორტუ — კამპომაიორენსე 3:0; ბენფიკა — სპორტინგი 0:0; ბოავიშტა — ბრაგა 0:0; გიმარაეში — ფარენსე 2:0; ვარზიმი — სეტუბალი 1:0; მარიტიმუ — აკადემიკა 4:1; ამადორა — ლეცა 2:1; სალგეირუში — რიუ ავე 5:1; ბელენენსეში — შავეში 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 5 | 5 | 0 | 0 | 14:2 | 15 |
| გიმარაეში | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 12 |
| მარიტიმუ | 5 | 3 | 2 | 0 | 10:5 | 11 |
| ბრაგა | 5 | 2 | 3 | 0 | 9:7 | 9 |
| რიუ ავე | 5 | 3 | 0 | 2 | 9:9 | 9 |
| ფარენსე | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| სპორტინგი | 5 | 2 | 2 | 1 | 3:1 | 8 |
| ვარზიმი | 5 | 2 | 2 | 1 | 3:3 | 8 |
| აკადემიკა | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| სალგეირუში | 5 | 1 | 3 | 1 | 7:4 | 6 |
| ბენფიკა | 5 | 1 | 2 | 2 | 6:5 | 5 |
| სეტუბალი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ამადორა | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| ბოავიშტა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| შავეში | 5 | 1 | 0 | 4 | 2:7 | 3 |
| ლეცა | 5 | 0 | 2 | 3 | 4:7 | 2 |
| ბელენენსეში | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | 2 |
| კამპომაიორენსე | 5 | 0 | 2 | 3 | 2:10 | 2 |

## ბელგია

მე-7 ტური. სტანდარდი — ლომელი 1:0; მუსკრონი — ალსტი 2:0; შარლერუა — ანდერლეხტი 3:0; მოლენბეკი — ვესტერლო 1:2; ლიერსი — ბრიუგე 2:4; გენკი — სენტ ტრიუდენი 0:0; გენტი — ბევერენი 3:2; ლოკერენი — ეკერენი 1:3; ჰარელბეკი — ანტვერპენი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 6 | 6 | 0 | 0 | 19:4 | 18 |
| ლომელი | 7 | 5 | 1 | 1 | 19:8 | 16 |
| გენკი | 7 | 5 | 1 | 1 | 19:8 | 16 |
| ეკერენი | 7 | 4 | 1 | 2 | 15:10 | 13 |
| შარლერუა | 7 | 3 | 2 | 2 | 8:11 | 11 |
| ლიერსი | 7 | 3 | 1 | 3 | 15:11 | 10 |
| ჰარელბეკი | 7 | 2 | 4 | 1 | 9:7 | 10 |
| ვესტერლო | 7 | 3 | 1 | 3 | 14:17 | 10 |
| გენტი | 7 | 2 | 3 | 2 | 13:11 | 9 |
| მუსკრონი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 9 |
| ლოკერენი | 7 | 3 | 0 | 4 | 10:17 | 9 |
| სტანდარდი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:9 | 8 |
| მოლენბეკი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:13 | 7 |
| ბევერენი | 7 | 1 | 3 | 3 | 8:11 | 6 |
| აალსტი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:10 | 6 |
| ანდერლეხტი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:10 | 6 |
| სტ. ტრიუდენი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:14 | 5 |
| ანტვერპენი | 5 | 0 | 0 | 5 | 5:16 | 0 |

### ფეხბურთის რუკასთან

**ჩილეში** სამკვირიანი პროტესტის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციამ გაფიცულ მოთამაშეთა მოთხოვნები დააკმაყოფილა და ფეხბურთელებმაც გაფიცვა შეწყვიტეს. მოთამაშეთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა კარლოს სოტომ გაფიცვის შეწყვეტამდე განაცხადა, ფედერაციამ დროზე იღონოს რამე, თორემ საქმეს ისე კარგად მივხედავთ, მათი ჩარევა სრულიადაც არ დაგვჭირდება. თანაც წინ ვერ აღგვიდგებიან, იურიდიულად მართლები ვართო. ქვეყნის ფეხბურთის მამებმა ხუთშაბათს გამართული სჯა-ბაასის შემდეგ ბრძნული გადაწყვეტილება მიიღეს და მოთამაშეებს მოთხოვნები შეუსრულეს, თუმცა იხტიბარიც არ გაიტეხეს — ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი მიეცა, 12 ოქტომბერს პერუსთან მეტად მნიშვნელოვანი მატჩი გველის და არ გვინდოდა მათი განერვიულება, თორემ ისე ვერას გახდებოდნენო.

**კოსტა რიკის** ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო სამ წაგებულ მატჩში ერთი გოლი გაიტანა, ახლა კი ერთ-ერთ ჰონდურასულ კლუბთან დამარცხდა, რასაც კოსტარიკელთა სპონსორების აღშფოთება და მუქარა მოჰყვა — თუ მექსიკაში ასე ითამაშებთ, თქვენთან აღარ ვითანამშრომლებთო.

**ინგლისში** კიდევ ერთი ტრანსფერი განხორციელდა: „ვესტ ჰემმა", ამასწინათ მაიკლ ჰიუზი თანაქალაქელ „უიმბლდონს" რომ დაუთმო, პირველი დივიზიონის „ქუინზ პარკიდან" თავდამსხმელი ენდი იმპი შეიძინა. მოთამაშე „ჩაქუჩებს" მილიონ 200 ათასი გირვანქა დაუჯდათ.

**ბრაზილიელმა** ბრანკომ, რომელიც იაპონიის „მოჯი-მირიმმა" დროებით აშშ-ს კლუბ „ნიუჯერს მეტროსტარზს" ათხოვა, ჩემპიონატის მე-11 მატჩში მესამე წითელი ბარათი მიიღო, რამაც ლიგის ხელმძღვანელობა ძლიერ აღაშფოთა — ამან თუ ასე გააგრძელა, კარგა ხნით დისკვალიფიკაციას მივცემთო.

**ნიგერიელებმა** ფრანგი მწვრთნელის ფილიპ ტრუსიეს გაძევებისთანავე განაცხადეს, მისი მემკვიდრეც უცხოელი იქნებაო და უკვე კანდიდატებიც დაასახელეს. „სუპერ-არწივებს" შესაძლო თავკაცებად ესახებათ რუუდ გულიტი, ბობი რობსონი, კევინ კიგანი, განის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გერხარდ ზისი, იოჰან კრუიფი და კლემენს ვესტერჰოფი, რომელმაც ნიგერიელები 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალამდე მიიყვანა.

**არგენტინულმა** „რასინგმა" სამხრეთ ამერიკის სუპერთასზე ბრაზილიურ „სანტოსთან" ფრედ 2:2 ითამაშა სტუმრებს მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ მათმა მეკარემ იგნასიო გონსალესმა, რომელმაც ცნობილი პარაგვაელის ხოსე ლუის ჩილავერის მიბაძვა სცადა, პენალტი ააცილა.

## რუსეთი

29-ე ტური. როტორი — ალანია 1:0; სპარტაკი — ლოკომოტივი 4:2; ცსკა — კრილია 1:2; ზენიტი — ტიუმენი 2:0; ტორპედო — ნოვგოროდი 2:2; ჩერნომორეცი — როსტსელმაში 0:0; კამაზი — ბალტიკა 3:3; ჟემჩუჟინა — დინამო 2:2; შინიკი — ფაკელი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 29 | 18 | 6 | 5 | 55:24 | 60 |
| როტორი | 29 | 18 | 6 | 5 | 50:24 | 60 |
| დინამო | 29 | 16 | 9 | 4 | 38:17 | 57 |
| ლოკომოტივი | 29 | 12 | 9 | 8 | 40:30 | 45 |
| ჩერნომორეცი | 29 | 11 | 12 | 6 | 32:22 | 45 |
| შინიკი | 28 | 11 | 10 | 7 | 30:29 | 43 |
| ზენიტი | 29 | 11 | 9 | 9 | 21:23 | 42 |
| ტორპედო | 29 | 12 | 5 | 12 | 42:36 | 41 |
| ალანია | 29 | 12 | 4 | 13 | 44:32 | 40 |
| კრილია | 29 | 11 | 7 | 11 | 26:26 | 40 |
| ბალტიკა | 29 | 8 | 14 | 7 | 32:32 | 38 |
| როსტსელმაში | 29 | 8 | 13 | 8 | 30:29 | 37 |
| ჟემჩუჟინა | 29 | 10 | 6 | 13 | 30:38 | 36 |
| ტიუმენი | 29 | 9 | 5 | 15 | 25:39 | 32 |
| ცსკა | 29 | 8 | 7 | 14 | 21:39 | 31 |
| ფაკელი | 29 | 7 | 3 | 19 | 20:38 | 24 |
| ნ.ნოვგოროდი | 28 | 5 | 4 | 19 | 20:47 | 19 |
| კამაზი | 29 | 7 | 3 | 19 | 32:63 | 18 |

*„კამაზს" დაკლებული აქვს 6 ქულა.*

# ჰინგისის მესამე შეცდომა

მიუნხენი. გერმანია. „დიდი სლემის თასი“. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო ფონდი 6 მილიონი დოლარი

**მეოთხედფინალი: პიტ სამპრასი (1 აშშ) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 7:6 (8:6) 6:4; გრეგ რუზეცკი (4 ინგლისი) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) 6:7 (5:7), 6:3, 6:1.**

პარასკევს ორ დრჩენილ მეოთხედფინალში განთესილებმა მოიგეს. იონას ბიორკმანისა და მსოფლიოს პირველი ჩოგნის პიტ სამპრასის მატჩი იმითაც იყო საინტერესო, რომ ეს მეტოქეები, ალბათ, ორიოდ თვეში დევისის თასის ფინალშიც შეხვდებიან ერთმანეთს. მაგრამ იქამდე ბიორკმანს ბევრი რამ აქვს გასაუმჯობესებელი, უპირველესად კი ფსიქოლოგიური მომზადება. როცა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელს ხვდები, ნერვიულობისთვის კაცი ვერ დაგძრახავს, მაგრამ ის, რაც შვედს იმ დღეს მოუვიდა, მისი კლასის ჩოგბურთელს ნამდვილად არ ეკადრება — მან პირველი სეტის ტაი-ბრეიკზე ერთი ორმაგი შეცდომა, 5:5 რომ იყო, მაშინ დაუშვა, კიდევ ერთი ორმაგი 6:7-ზე და სეტი უბრძოლველად გადაულოცა მეტოქეს. მეორე ხელის დასაწყისში კიდევ ერთი მსგავსი შეცდომა შვედმა ახლა უკვე ბრეიკ-პოინტზე დაუშვა, სამპრასი კი ის კაცი არ არის, მსგავსი საჩუქრები ჭერში შეინახოს. ევგენი „კალაშნიკოვ“ კაფელნიკოვმა თავისი მეტსახელი მარტო პირველ სეტში გაამართლა, როდესაც რუზეცკის ტაი-ბრეიკზე მძლავრი ბექჰენდებით სიქა გააცალა, მაგრამ მერე ინგლისელმაც აამუშავა თავისი მძიმე არტილერია: ერთ-ერთი მოწოდებით თავისი მსოფლიო რეკორდი — 230 კმ-სთ გაიმეორა და კორტის მეორე ბოლოში უსაქმოდ მდგარ ჟენიას, რომელიც მეტოქის მოწოდებაზე ხშირად რეაგირებასაც კი ვერ ასწრებდა, თამაშის ხალისი დაუკარგა.

ბუქარესტი. რუმინეთის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე. საპრიზო ფონდი 475 ათასი დოლარი.

**მეორე წრე: კარლოს კოსტა (ესპანეთი) — კარლოს მოია (1 ესპანეთი) 6:0, 4:6, 6:4; ხავიერ სანჩესი (ესპანეთი) — ალექს კორეჩა (2 ესპანეთი) 6:3, 4:6, 7:5; ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — ალბერტო ბარასატეგი (3 ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:3; ანდრეა გაუდენცი (იტალია) — ხუან ანტონიო მარინი (ესპანეთი) 6:4, 7:5.**

ბუქარესტში მეორე წრე მოულოდნელობებით სავსე აღმოჩნდა. პირველმა სამმა განთესილმა — სამივე ესპანელმა დათმო შეხვედრა. თუმცა, ის დღე ესპანელთათვის შავად მაინც არ ჩაითვლება, რადგან ორ მათგანს ისევ თანამემამულემ მოუგო. კარლოს მოიამ კარლოს კოსტასთან პირველი სეტი მსოფლიოს მეხუთე ჩოგნისთვის სამარცხვინოდ, მშრალად წააგო, მერე, მეორე ხელში კი იმარჯვა, მაგრამ შელახული თავმოყვარეობა ბოლომდე მაინც ველარ აღიდგინა. ამერიკის ღია პირველობაზე ტრავმის მიღების შემდეგ პირველი ტურნირი წარუმატებელი აღმოჩნდა ალექს კორეჩასთვისაც, რომელმაც ხავიერ სანჩესთან დათმო სამსეტიანი გაჭიანურებული მატჩი 3:6, 6:4, 5:7. ტურნირის შარშანდელმა ჩემპიონმა ალბერტო ბარასატეგიმ უსახელო ეკვადორელ ლაპენტისთან ერთ სეტსაც კი ვერ გამოჰკრა ხელი 6:7, 3:6.

**მეოთხედფინალი: მარკ კევინ გელნერი (7 გერმანია) — კარლოს კოსტა 6:2, 7:6; რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) — ალბერტო პორტასი (4 ესპანეთი) 6:4, 6:3; ხავიერ სანჩესი — ფრანცისკო კლავეტი 4:6, 6:2, 6:3; ანდრეა გაუდენცი — ნიკოლას ლაპენტი 6:2, 6:4.**

ტურნირის ორგანიზატორებს ამდენმა მოულოდნელობამ დიდი საზრუნავი გაუჩინა. ეგონათ, ფინალში საუკეთესო ათეულის ორ ესპანელს — მოიას და კორეჩას დააჯახებდნენ ერთმანეთს, ამ ნაქებმა მოთიხნარეებმა კი მეორე წრეშივე აიკრეს გუდა-ნაბადი და ახლა მიდი და შეიტყუე არც თუ მთლად დალხენილი რუმინელი მაყურებელი საუკეთესო ასეულის მეორე ნახევარში „დაყუდებული“ ჩოგბურთელების მატჩებზე. ბუქარესტში ნახევარფინალში ერთადერთმა განთესილმა — გერმანელმა გელნერმა გააღწია. მან მოიას გამამწარებელ კარლოს კოსტას 6:2, 7:6 მოუგო. მეოთხედფინალში ბობოლების გამგდებ სხვა ჩოგბურთელებსაც უწიათ ტურნირის თავკაცების ცოდვამ: კორეჩას მომგები ხავიერ სანჩესი ასევე თანამემამულე ფრანსისკო კლავეტმა გააგდო, ეკვადორელი ლაპენტი კი იტალიელმა გაუდენციმ.

ტულუზი. საფრანგეთი. „გრანპრი“. ტარდება დარბაზში ჰარდზე. საპრიზო ფონდი 400 ათასი დოლარი

**მეორე წრე: ნიკოლას კიფერი (გერმანია) — ტიმ ჰენმანი (2 ინგლისი) 4:6, 7:6 (7:3), 6:2; ალექს რადულესკუ (გერმანია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:2, 6:3; მარკ ფილიპუსისი (3 ავსტრალია) — ლიონელ რუ (საფრანგეთი) 6:3, 6:7 (5:7), 6:3; ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) — იან სიმერინკი (7 ჰოლანდია) 3:6, 7:6 (9:7), 6:0; არნო კლემანი (საფრანგეთი) — მაგნუს ლარსონი (5 შვედეთი) 7:6 (11:9), 3:6, 6:4.**

ბუქარესტისა არ იყოს, ტულუზის ტურნირიც არ განიცდის ბობოლათა მოზღვავებას. პირველივე წრეში გავარდნილ ალბერტ კოსტას, რომელიც აქ პირველად იყო განთესილი, მეორე წრეში მეორედ განთესილი ბრიტი ჰენმანიც მიჰყვა უკან. ინგლისელმა გასულ კვირას ტაშკენტში თავისი მეორე ტურნირი მოიგო კარიერაში, თანაც ზუსტად იგივე საფარზე. აქაც ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ მისი მეტოქე, ამომავალი გერმანელი ვარსკვლავი ნიკოლას კიფერი სხვანაირად ფიქრობდა. მას მერე, რაც უიმბლდონის მეოთხედფინალში გავიდა, კიფერს წარუმატებლობა წარუმატებლობაზე შეემთხვა, იმ ტაშკენტის ტურნირზეც კი (სადაც ჰენმანმა მოიგო) ვინმე რუს სტოლიაროვთან წააგო პირველივე წრეში. ამჯერად გერმანელი გაცილებით მობილიზებული ჩანდა, აღელვება არც მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე დასტყობია, როდესაც მისთვის ყველაფერი შეიძლება დასრულებულიყო, და ბრიტის მძლავრ მოწოდებას ზუსტი მიღებებით და საპასუხო აგრესიულობით შედეგიანად უპასუხა 4:6, 7:6, 6:2. ავსტრალიელმა მარკ „სკად“ ფილიპუსისმა, ვინაც გასული კვირის ბოლოს თავის ქვეყანას დევისის თასის ნახევარფინალში ჩხირისტოლა საქმეც ვერ გაუკეთა, იქ თუ არა, ტულუზში მაინც იპოვა დასაბრიყვებელი ხალხი და მასპინძელ ლიონელ რუსთან მატჩში 23 ეისი მოაწოდა, თუმცა მოსაგებად მაინც სამი ხელი დასჭირდა.



ჩია ამანდას დიდი სენსაცია: კუტცერმა ჰინგისს მოუგო

**მეოთხედფინალი: რადულესკუ — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:1, 6:4; ვინს სპედეა (აშშ) — გიმელსტობი 6:3, 7:6 (7:4); კიფერი — გიომ რაუ (საფრანგეთი) 6:2, 6:7 (5:7), 7:5; ფილიპუსისი — კლემანი 7:5, 3:6; 7:6 (7:5).**

„სკადისთვის“ ტულუზში წარმატებით გამოსვლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან შარშან აქ ჩემპიონი გახდა და ახლა რომ ადრევე წაეგო, საკლასიფიკაციო ქულები მოაკლდებოდა და გვარიანად დაქვეითდებოდა. ფილიპუსისმა ამ მატჩშიც ეისები აწვიმა მეტოქეს, მაგრამ ტურნირის აღმოჩენა კლემანთანაც ძალზე გაუჭირდა, ის კი არა, მესამე სეტში მატჩ-პოინტების გადარჩენაც კი მოუწია. ტულუზში ნორჩმა გერმანელებმა გაილაღეს. 20 წლის კიფერმა მასპინძელთა სათვალიანი ყოჩის — გიომ რაუს ძლევით კარიერაში პირველ ნახევარფინალს უწია, კიდევ ერთმა ახალგაზრდა გერმანელმა — უმძლავრესი მიწოდების პატრონმა ალექს რადულესკუმ 19 წლის თვისტომ ტომი ჰაას აჯობა 6:1, 6:4.

ლაიპციგი. გერმანია. „გრანპრი“ ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 450 ათასი დოლარი.

ლაიპციგის ქალთა ტურნირზე არცთუ შთამბეჭდავი საპრიზო ფონდის მიუხედავად, უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი — საუკეთესო ათეულის ხუთი წევრი თამაშობს. პირველ ორ წრეში არცერთი ბობოლა არ გავარდნილა, ერთადერთი მოულოდნელობა კი მსოფლიოს მეოცე ჩოგნის ინდონეზიელი იაუკ ბაზუკის მარცხი იყო ჩეხ სანდრა კლეინოვასთან 4:6, 6:3, 5:7.

**მეოთ; დფინალი: მარტინა ჰინგისი (1 შვეიცარია) — საბინა აპელმანსი (7 ბელგია) 6:3, 6:2; იანა ნოვოტნა (2 ჩეხეთი) — სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:2; ამანდა კუტცერი (4 სამხრეთ აფრიკა) — მაგდალენა გრჟიბოვსკა (პოლონეთი) 6:1, 7:6; ანკე ჰუბერი (5 გერმანია) — ივა მაიოლი (3 ხორვატია) 4:6, 7:6, 6:4.**

საუკეთესო მატჩი, რაღა თქმა უნდა, ჰუბერსა და მაიოლის შორის გაიმართა. გერმანელს ლაიპციგში 1995 და 1996 წლებში უმარჯვია და მაყურებელთა მიერ ზურგგამაგრებული თავისი ქულების დაცვას ლამის კბილებით აპირებდა. მაიოლის კი, თავის მხრივ, როლან გაროსის მოგების შემდეგ ერთი მნიშვნელოვანი წარმატებისთვისაც კი არ მიუღწევია და გაჭიანურების უიღბლობის სერიის მოთავება სურდა. პირველ სეტში იგი უკეთ გამოიყურებოდა, უკანა ხაზზე უფრო სტაბილურად თამაშობდა და ბადესთან იშვიათად ცდებოდა, მაგრამ მეორე ხელში რამდენიმე გამოუყენებელმა მატჩ-პოინტმა ხორვატი შესამჩნევად აანერვიულა, რასაც ტაი-ბრეიკზე მარცხი და მერე კი მთელი მატჩის წაგება მოჰყვა.

შაბათს გამართულ ნახევარფინალებში კი ერთი (მაგრამ როგორი!) სენსაცია მოხდა. *სამხრეთაფრიკელმა ამანდა კუტცერმა წლის განმავლობაში მესამე მარცხი აწვნია მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს* 6:4, 4:6, 7:6. კუტცერის მეტოქე ფინალში იანა ნოვოტნა იქნება.

**ავთანდილ სვანიძე**



# რას მერჩი, ძმაო...

ფორმულა 1
XV ეტაპი
ლუქსემბურგის დიდი პრიზი

ლუქსემბურგის დიდი პრიზის პირველი გათამაშების ფინიშამდე 25 კმ რჩებოდა. „მაკლარენის“ დუეტი საკმაოდ დამაჯერებლად ლიდერობდა, მაგრამ, ჯერ იყო, მეორეზე მყოფ კულჰარდს უმტყუნა ძრავამ, ერთი წრის შემდეგ კი ლიდერმა ჰაკინენმა შეწყვიტა რბოლა და გამარჯვება ვილნევს დარჩა.

სარბოლო უიქნდი იმით დაიწყო, რომ „პროსტის“ პირველი პილოტი ოლივიე პანი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ მიუჯდა საჭეს და კვალიფიკაციაზე მე-11 შედეგიც აჩვენა. პოული კი ჰაკინენმა მოიპოვა — 1.16,602; მეორე



ჰაკინენის უიღბლობა საარაკოა

ვილნევი გახლდათ — 1.16,691; შუმი მხოლოდ მეხუთე იყო — 1.17,385; „მაკლარენის“ მერე პილოტის კულჰარდის დრო მეექვსე იყო.

სტარტიდან პირველი ჰაკინენი დაიძრა, პირველ მოსახვევში მას კულჰარდი მიჰყვა. ახალგაზრდა შოტლანდიელმა ჯერ ტრასის შუისკენ გადაიწია და შუმის, ფიზიკელას, ფრენცენს შორის გაძვრა და ვილნევს უკან ამოუდგა, მერე კი მასაც მარჯვენა მხრიდან, ტრასის კიდეზე გადაასწრო და თანაგუნდელს ზურგი გაუმაგრა. პოზიციის გაუმჯობესება რალფ შუმახერმაც სცადა, მაგრამ მისი მანევრი იმით დასრულდა, რომ ჯერ ფიზიკელა ჩამოაშორა რბოლას, მერე კი ძმას „ფერარი“ დაუზიანა. უფროსმა შუმახერმა დაზიანებული ბოლიდით ორი წრის გავლაღა შეძლო და ჩემპიონატში ლიდერობის შენარჩუნების შანსი დაკარგა. დაწინაურებული ჰაკინენი კი ნელ-ნელა შორდებოდა მდევრებს და მეათე წრისთვის თანაგუნდელს უკვე 5,4 წამს უგებდა. ამათ ვილნევი მისდევდა, რომლისთვისაც მესამე ადგილიც კი ჩემპიონატში დაწინაურების ტოლფასი იყო. ამათ გარდა ექვსეულში „სტიუარტის“ ორივე პილოტი და ალეზი გახლდნენ. მეექვსეზე მყოფი მაგნუსენი კარგა ხანს საკმაოდ იოლად უმკლავდებოდა დეიმონ ჰილის შეტევებს, მეოთხეზე გამაგრებული ბარიჩელო კი ალეზის არ იკარებდა. სტარტზე მომხდარი არეულობისას ჩამორჩენილთა შორის გაჩხერილი ფრენცენი კი ნელ-ნელა მიიწევდა წინ და 32-ე წრეზე წრის რეკორდიც დაამყარა — 1.18,805.

პირველი პიტსტოპების შემდეგ მოწინავეთა შორის არაფერი შეცვლილა, მხოლოდ ალეზი აღმოჩნდა მე-8 ადგილზე, მე-4-ზე კი მაგნუსენმა გადაინაცვლა.

43-ე წრეზე სტარტ-ფინიშის სწორზე კულჰარდის „მაკლარენის“ ძრავი აბოლდა და აუშვა და ვილნევმა მეორეზე გადაინაცვლა, ერთი წრის შემდეგ კი კანადელმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღო — ჰაკინენის ბოლიდიც „გაოჩნდა“ და ფინელმა მაყურებლებში გადაინაცვლა. ჟაკმა უბრძოლველად მიიღო პირველი პოზი-



ვილნევს ხვევნა-კოცნის ჟამი დაუდგა

ცია. ამავე პერიოდში ბარიჩელოს „სტიუარტიც“ გაჯიუტდა და ამის შემდეგ ექვსეული ასე დაეწყო: ვილნევი, ალეზი, ფრენცენი, ბერგერი, დინიცი, პანი. ვილნევმა მეორედაც შეივსო საწვავი და ტრასას კვლავ პირველი, 29-წამიანი უპირატესობით დაუბრუნდა. ეს სხვაობა მას საშუალებას აძლევდა, მშვიდად გაეგრძელებინა რბოლა და ჟაკიც ასე მოიქცა. საბოლოოდ, მეორეზე გასულ ალეზის მხოლოდ 11 წამით აჯობა. რბოლის ბოლო დინიცისა და პანის ორთაბრძოლით აღინიშნა. ახალდაბრუნებულმა ფრანგმა მშვენივრად ირბოლა, მაგრამ ბრაზილიელის ჩამოტოვება ვერ მოახერხა და საბოლოოდ 1 ქულას დასჯერდა.

ამ გამარჯვებით ვილნევმა 9-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა. და თუ იაპონიაშიც გაიმარჯვა, ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი წრით ადრე ჩემპიონის გვირგვინის მორგების შანსიც აქვს. „უილიამსის“ გუნდმა კი 14 ქულა შეიმატა და საგრძნობლად დაშორდა უახლოეს მდევარ „ფერარის“.

**ალეძო ჭაგუძიანი**

28 სექტემბერი, „ნიურბურგრინგი“

**რბოლის დისტანცია 67 წრე**

| | | |
|---|---|---|
| 1. ვილნევი (უილიამს-რენო) 1:31.27,843 (200, 232 კმ-სთ) | | 10 ქულა |
| 2. ალეზი (ბენეტონ-რენო) | ჩამორჩა 11,770 წმ | 6 |
| 3. ფრენცენი (უილიამს-რენო) | 13,460 | 4 |
| 4. ბერგერი (ბენეტონ-რენო) | 16,416 | 3 |
| 5. დინიცი (ეროუს-იამაჰა) | 43,147 | 2 |
| 6. პანი (პროსტ-მუგენ-ჰონდა) | 43,750 | 1 |
| 7. ჰერბერტი (ზაუბერ-ფერარი) | 44,354 | |
| 8. ჰილი (ეროუს-იამაჰა) | 44,777 | |
| 9. მორბიდელი (ზაუბერ-ფერარი) | 1 წრით | |
| 10. ხალო (ტირელ-ფორდი) | 1 წრით | |

**საუკეთესო წრე**

ფრენცენი 1.18,805 (32-ე წრე)

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ვერსტაპენი (ტირელ-ფორდი) | გაიარა 50 წრე |
| ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) | 43 |
| ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი) | 43 |
| კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) | 42 |
| მაგნუსენი (სტიუარტ-ფორდი) | 40 |
| ირვინი (ფერარი) | 22 |
| ნაკანო (პროსტ-მუგენ-ჰონდა) | 16 |
| მ. შუმახერი (ფერარი) | 2 |
| მარკეში (მინარდი-ჰარტი) | 1 |
| კატაიამა (მინარდი-ჰარტი) | 1 |
| რ. შუმახერი (ჯორდან-პეჟო) | 0 |
| ფიზიკელა (ჯორდან-პეჟო) | 0 |

**პირადი პირველობა**

1. ვილნევი 77 ქულა; 2. მ. შუმახერი 68; 3. ფრენცენი 35; 4. ალეზი 34; 5. კულჰარდი 30; 6. ბერგერი 24; 7. ფიზიკელა 20; 8. ირვინი 18; 9. პანი 16; 10-11. ჰაკინენი და ჰერბერტი 14-14; 12. რ. შუმახერი 13; 13. ჰილი 7; 14. ბარიჩელო 6; 15. ვურცი 4; 16. ტრული 3; 17-18. ხალო და დინიცი 2-2; 19. ლარინი 1.

**გუნდური პირველობა**

1. უილიამსი — 112 ქულა; 2. ფერარი — 86; 3. ბენეტონი — 62; 4. მაკლარენი — 44; 5. ჯორდანი — 33; 6. პროსტი — 21; 7. ზაუბერი — 15; 8. ეროუსი — 9; 9. სტიუარტი — 6; 10. ტირელი — 2.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29